ბიზნეს მოდელის ტილო (BUSINESS MODEL CANVAS)

კრისტალი

ბიზნეს მოდელის ტილო გვეხმარება განვსაზღვროთ ბიზნესის აქტივობები და წარვმართოთ საქმიანობა მარტივი და კრეატიული ფორმით. ის გამოიყენება მაშინ, როცა გვსურს ბიზნეს მოდელის აღწერა ან მისი დატესტვა. მისი გამოყენება უფრო მეტად შესაფერისია მოქმედი, ვიდრე დამწყები ბიზნესისთვის. გაითვალისწინეთ, რომ ბიზნეს მოდელის ტილოს გადახედვა უნდა მოხდეს პერიოდულად, რადგან მასში ჩამოთვლილმა ფაქტორებმა დროთა განმავლობაში შესაძლოა განიცადოს გარკვეული ცვლილება.

ბიზნეს მოდელის ტილო შედგება ცხრილში მოცემული ცხრა ბლოკისგან. მისი შედგენით, მუდმივად იქნება შესაძლებლობა ვიხილოთ პროექტის ვრცელი სურათი.

როგორ შევავსოთ ბიზნეს მოდელის ტილო ?

საკვანძო კითხვები, რომლებიც საჭიროა მის შესავსებად:

• ძირითადი პარტნიორები

- ვინ არიან პარტნიორები?
- ვინ არიან მომწოდებლები?
- რა აუცილებელ რესურსებს იძენს ბიზნესი პარტნიორებისგან?

• ძირითადი საქმიანობა

- რა ძირითად აქტივობებს საჭიროებს ფასეული შეთავაზება?
- შემოსავლის წყაროები?
- ურთიერთობა მომხმარებელთან?

• ფასეული შეთავაზება

- რა ფასეულობას სთავაზობს ბიზნესი მომხმარებელს?
- რა პრობლემის მოგვარებაში ეხმარება ბიზნესი მომხმარებელს?
- რა პროდუქტს ან სერვისს სთავაზობს ბიზნესი სეგმენტს?
- მომხმარებლის რა საჭიროებას აკმაყოფილებს ბიზნესი?

• ურთიერთობა მომხმარებელთან

- რა ურთიერთობას მოელის მომხმარებელი ბიზნესისგან? (მაგ: პერსონალური ასისტენტი; თვითმომსახურება და სხვა....)
- რამდენად ხარჯიანია სერვისი მომხმარებლისთვის?

• მომხმარებელთა სეგმენტი

- ვინ არიან მომხმარებლები?
- ვისთვის იქნება ღირებულება?

• ძირითადი რესურსები

- რა აუცილებელ რესურსებს მოითხოვს ბიზნესის ღირებულების შექმნა?
- სადისტრიბუციო არხები?
- მომხმარებელთან ურთიერთობა?
- ფიზიკური, ადამიანური, ფინანსური, ინტელექტუალური რესურსები?

• არხები

- რა არხებით ხდება პროდუქტის მომხმარებლამდე მიტანა?
- რომელი არხი მუშაობს ყველაზე ეფექტურად?

• შემოსავლის წყაროები

- რა ღირებულებაში იხდიან მომხმარებლები ფულს?
- რა შემოსავლის წყაროები არსებობს ბიზნესში?

• ხარჯების სტრუქტურა

- რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ხარჯები ბიზნეს მოდელში?
- რომელი აუცილებელი რესურსია ყველაზე ხარჯიანი?
- რომელი აუცილებელი აქტივობაა ყველაზე ხარჯიანი?

ბიზნეს მოდელის ტილო (BUSINESS MODEL CANVAS)

კრისტალი

ძირითადი პარტნიორები

ძირითადი საქმიანობა

ფასეული შეთავაზება

ურთიერთობა მომხმარებელთან

მომხმარებელთა სეგმენტი

ძირითადი რესურსები

არხები

შემოსავლის წყაროები

ხარჯების სტრუქტურა